ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №423748

ნომერი: AR186484

თარიღი : 15.10.2012

გაცემის თარიღი : 07.11.2012

გაცნობის თარიღი : 07.11.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან სეფერთელაძე პ/ნ 01030022760
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 52/54

ორგანიზაცია:
- დ პლუსი კოდი: 202907541

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

მოქ. ლევან სეფერთილაძის 10.15.2012წ. #არ186484 განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

სამსახურს 2012 წლის 15 ოქტომბერს #არ186484 განცხადებით მომართა მოქ. ლევან სეფერთილაძემ და მოითხოვა 26.09.2012წ. #369154 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით ქ. თბილისში, სამტრედიას ქ. #50–ში შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის ,,A''; ,,B'' და ,,C'' ბლოკდების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბებული იქნა ერთიანად. ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ცდომილების გასწორებასთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 15 ოქტომბერს #არ186484 განაცხადი სამსახურის 02.11.2012წ. №408248 ბრძანებითა და 06.11.2012წ. №420156 გადაწყვეტილებით არაერთხელ იქნა დახარვეზებული. განმეორებით წარმოადგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებისა და #76 ბინის ნახაზის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისევ ცდომილებით არის წარმოდგენილი აღნიშნული ნახაზი, ვინაიდან კედლის გადაწევით, მომიჯნავე ფართის ხარჯზე, ხდება #76 ბინის ფართობის გაზრდა 10 კვ.მ.–ით, ისე რომ მომიჯნავე ბინის ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი ნახაზზე უცვლელი რჩება, რაც შესაბამისად გამოიწვევს საერთო ფართობის 10 კვ.მ.–ით უსაფუძვლო მატებას. აღნიშნული ცდომილება შესაბამისად ასახულია იმ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, რომელიც წარმოდგენილია ბლოკების მიხედვით. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები არ წარმოადგენენ ტექნიკურ ხარვეზს და მათი ასახვა სამშენებლო დოკუმენტაციაში საჭიროებს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისიწნებით და ვინაიდან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ნახაზზე განხორციელებული ცვლილება არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და ამასთან, იგი იწვევს ცდომილებას საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლებში, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის IV და VI თავების თანახმად,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას მოქ. ლევან სეფერთილაძეს 2012 წლის 15 ოქტომბრის #არ186484 განცხადების დაკმაყოფილებაზე;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.